აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2018 წლის 10 აპრილის №31 გადაწყვეტილებით განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს კომისიების მიერ განხილვის შემდეგ, განხილულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე განხილვა მოხდეს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ჩაქვი,
2018 წლის 17 მაისი
№72-უ.ს.გ.ს.